განკარგულება:**გ-47. 4723271001**
თარიღი:**28/09/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N42

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე N28.01.21.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ყოფილი პოლიკლინიკა) პირველ სართულზე არსებული 25.40 კვ.მ. ფართის (თანდართული პირველი სართულის გეგმის მიხედვით) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ქალები ქალებისათვის საინიციატივო ჯგუფი გურიაში“-სათვის (ს/კ - 405502255) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი